ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7117496

ნომერი: AR11042822

თარიღი : 21.06.2024

გაცემის თარიღი : 05.07.2024

გაცნობის თარიღი : 06.07.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა , N 50ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შორენა რაზიკაშვილი პ/ნ 01024084840
- თბილისი სიმონ ჩიქოვანის ქ. N 7/2

ორგანიზაცია:
- ზე-ენ საქსეს კოდი: 405640506

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ზეენ საქსეს
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405640506
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შორენა რაზიკაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024084840

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 7070142
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 7.06.2024

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2023 წლის 21 თებერვლის №192 ბრძანების აღსრულების ფარგლებში

1. გაიცეს: ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა , N 50ა, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.13.01.018.175), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალოს სანებართვო მოწმობა.
2. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 05 ივლისიდან 2026 წლის 05 ოქტომბრის ჩათვლით.
3. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე იქონიოს სამშენებლო დოკუმენტი კანონით გათვალისწინებული სრული შემადგენლობით, პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი, მათ შორის:
3.1 სამშენებლო მიწის ნაკვეთის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა.
3.2 საჭიროების შემთხვევაში შენობა–ნაგებობისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა საქართველოს მთავრობის 24.03.09 წ. #57–ე დადგენილების 35–ე მუხლის შესაბამისად.
3.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61–ე მუხლის შესაბამისად.
3.4 კონსტურქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა–ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის ფუძე–საძირკვლისაგან.
3.5. მწვანე ნარგავების ჭრის/გადარგვის აუცილებლობის შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან მიღებული შესაბამისი ნებართვა.
3.6. მიწისზედა/მიწისქვეშა ხაზობრივი ნაგებობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა/ნებართვა.
3.7. სავალდებულო საექსპერტო შეფასების განხორციელება საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის #57–ე დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

-

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.